ახალი გამოწვევა

ჩინური სათვალთვალო კამერები საქართველოში



თბილისი

2025 იანვარი

ავტორი:
აქსანა ახმედოვა

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილი ხედვა და მოსაზრებები ეკუთვნის ანგარიშის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს "სამოქალაქო იდეას" საქმიანობის მხარდამჭერ რომელიმე ორგანიზაციის მოსაზრებებს ან პოზიციას.

„ქართული ოცნების“ არალეგიტიმური ხელისუფლების მზარდად ანტიდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსი სულ უფრო ნათლად აისახება სინო-ქართული ურთიერთობების დინამიკაში. მაშინ, როდესაც ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან თანხვედრის გაუმჯობესება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი **ნაბიჯია** საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისთის, ქართული ოცნების ამჟამინდელი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები აღნიშნულ მიზანს ეწინააღმდეგება. ავტორიტარულ რეჟიმებთან, განსაკუთრებით კი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან სამართალდაცვით, თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროებში თანამშრომლობა საფრთხეს უქმნის არა მარტო საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას, არამედ ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესს.

„სამოქალაქო იდეა“ აგრძელებს კვლევებს და შესაბამისად 2025-შიც შემოგთავაზებთ ინფორმაციებსა და მიგნებებს, თუმცა დღეს სამართალდამცავთა შორის თანამშრომლობის ერთ კონკრეტულ მიმართულებაზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. ეს არის, **ქართულ ბაზარზე ჩინური კომპანიების მიერ წარმოებული სათვალთვალო ტექნოლოგიების წილის მკვეთრი ზრდა.** აღნიშნული ტექნოლოგიები მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს კიბერ-უსაფრთხოებისა და მონაცემთა უსაფრთხოებისთვის. გარდა ამისა, წამყვან ჩინურ ტექნოლოგიურ კომპანიებსა და ჩინეთის კომუნისტურ პარტიას შორის ახლო კავშირები ხსენებულ რისკებს ამწვავებს. შესაბამისად, აღნიშნული ტექნოლოგიები ეროვნული უსაფრთხოებისთვის სარისკოდ მიიჩნევა.

ქვემოთ მოცემული ფაქტები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ჩინურ სადაზვერვო ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ გამოწვევებს:

- ჩინური სამეთვალყურეო კამერების მწარმოებლები, მათ შორის Hikvision და Dahua, ექვემდებარებიან ისეთ კანონებს, როგორიცაა ჩინეთის ეროვნული დაზვერვის კანონი. აღნიშული კომპანიებს ავალდებულებს, საჭიროების შემთხვევაში, მთავრობასთან ითანამშრომლონ. ეს კი, წარმოშობს საფრთხეს, რომ ჩინური კომპანიების მიერ წარმოებული კამერების საშუალებით დაგროვებული ინფორმაცია შეიძლება ჩინეთის სადაზვერვო სააგენტოების ხელში აღმოჩნდეს.

- არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ჩინური სამეთვალყურეო სისტემები სადაზვერვო მიზნებისთვის შეიძლება იქნას გამოყენებული. ამ ტექნოლოგიებში განზრახ ჩაშენებული ფარული წვდომის მექანიზმები ჩინეთის მთავრობას აძლევს საშუალებას, გააკონტროლოს ან წვდომა მოიპოვოს კრიტიკულ ინფრასტრუქტურებსა თუ დაწესებულებებზე.

- სამთავრობო შენობებში, სამხედრო ბაზებსა თუ სატრანსპორტო ჰაბებში დამონტაჟების შემთხვევაში, ამ სისტემებმა შეიძლება ხელი შეუწყონ უცრო აქტორის მხრიდან ჩარევას ან საბოტაჟს.

- **ერთ-ერთი ბრალდება, რომელსაც დემოკრატიული სახელმწიფოები ჩინურ სამეთვალყურეო ტექნოლოგიებს უყენებენ, არის ავტორიტარული პრაქტიკების ხელშეწყობა. ხშირად აღნიშნულ აღჭურვილობებში ინტეგრირებულია ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული ისეთი შესაძლებლობები, როგორებიცაა სახის ამოცნობა და ბრბოს ანალიზი. ჩინეთში აღნიშნული ტექნოლოგიები მოსახლეობის, განსაკუთრებით კი, დისიდენტებისა და ეთნიკური უმცირესობების, მათ შორის, სინძიანში მცხოვრები უიღურების მონიტორინგისთვის გამოიყენება. ამიტომ, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ჩინური სამეთვალყურეო ტექნოლოგიები შესაძლოა ავტორიტარულმა რეჟიმებმა მსგავსი პრაქტიკების განსახორციელებლად და მასობრივი ზედამ ზედამხედველობისთვის გამოიყენონ. ეს კი, ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებების დარღვევას და ძირს გამოუთხრის დემოკრატიასა და სამოქალაქო თავისუფლებებს.**

აშშ-მ და რამდენიმე ევროპულმა სახელმწიფომ, ეროვნული უსაფრთხოების რისკების გამო, Hikvision-ისა და Dahua-ს მიერ წარმოებული სათვალთვალო აღჭურვილობის კრიტიკულ სექტორებში გამოყენება შეზღუდეს. თუმცა, ბევრი განვითარებადი ქვეყანა მსგავსი ტექნოლოგიების კვლავ ჩინური მწარმოებლებისგან შეძენას ანიჭებს უპირატესობას, რადგან სარტყლისა და გზის ინიციატივის ფარგლებში, აღნიშნული პროდუქტების შეძენა ფინანსურად უფრო მომგებიანი და ხელმისაწვდომია. ამ თვალსაზრისით, არც საქართველოა გამონაკლისი: უსაფრთხოების რისკების მიუხედავად, ქართული ოცნება არჩევანს ჩინური კომპანიების სასიკეთოდ აკეთებს.

ჩინური საზედამხედველო ტექნოლოგიები საქართველოში

20 დეკემბერს, აშშ-ს მიერ **სანქცირებული** ვახტანგ გომელაური **შეხვდა** საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩს, ჭოუ ციენს. შეხვედრის ფარგლებში, მხარეები შეთანხმდნენ „სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის გაძლიერების მნიშვნელობაზე“. შსს-ს მიერ გავრცელებულ ამ ინფორმაციაში მნიშვნელოვანი სიტყვა იყო „გაძლიერება“, ვინაიდან ის თავისთავში გულისხმობს, რომ ასეთი ურთიერთობები უკვე არსებობს და ახლა, მისი გაძლიერება და ინტენსივობის მატება არის დაგეგმილი.

სამოქალაქო იდეამ, საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, მოიკვლია ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოს მხრიდან ჩინეთში წარმოებული სამეთვალყურეო კამერების შესყიდვის შემთხვევები.

მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ ბოლო 5 წელიწადში ჩინური ტექნოლოგიების შეძენის მზარდი ტენდენცია გვაქვს. კერძოდ, თუკი მაგალითად, 2023 წელს 151 592 ლარის სულ 6 შესყიდვა განხორციელდა, 2024 წელს ეს რიცხვი 13-მდე გაიზარდა, რომელშიც ხელისუფლებამ 2 მილიონ ლარზე მეტი დახარჯა.



აღსანიშნავია, რომ ქართულ ბაზარზე ჩინური სამეთვალყურეო კამერების შემსყიდველები არიან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სამინისტროები სამინისტროები და მათი საქვეუწყებო ორგანიზაციები, საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვა. რაც შეეხება შესყიდული კამერების მწარმოებლებს, მათ შორის არიან საერთაშორისო დონეზე არაერთ სკანდალში გახვეული და საეჭვო რეპუტაციის მქონე ისეთი ჩინური კომპანიები, როგორებიცაა;

Zhejiang Dahua Vision Technology Co., Ltd.,

Hangzhou Hikvision Digital Technology Co.,Ltd

Tiandy Technologies Co., Ltd.

ამავდროულად, საყურადღებოა, რომ 2019-2024 წლებში განხორციელებული 46 სახელმწიფო შესყიდვიდან 26 შემთხვევაში შესყიდული კამერები Hikvision-ის მიერაა წარმოებული.

აღნიშნული კომპანიის მიერ წარმოებულ პროდუქციის იმპორტი კი, ბოლო წლებში არაერთმა დასავლურმა სახელმწიფომ **აკრძალა**. კერძოდ:

2021 – სამხრეთ კორეის მთავრობამ, Hikvision-ის პროდუქციის ნაწილზე აკრძალვები **დააწესა**. გარდა ამისა, 2024 წელს სამხედრო ბაზებიდან 1300-ზე მეტი ჩინური სათვალთვალო კამერა ჩამოხსნა.

2021 წელს ევროპარლამენტმა Hikvision-ის მიერ წარმოებული კამერების ჩამოხსნის **გადაწყვეტილება** მიიღო. აღნიშნულის მიზეზად დასახელდა ადამიანის უფლებების დამრღვევ ქმედებებში კომპანიის მონაწილეობა.

ახალი ზელანდიის ბიზნესის, ინოვაციისა და დასაქმების სამინისტრომ მიიღო **გადაწყვეტილება**, რომ Hikvision-ის აღჭურვილობას აღარ შეიძენდა. მიზეზი – ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული პრაქტიკა, რომლებშიც კომპანია იყო ჩართული.

აშშ-ს ფედერალური კომუნიკაციების კომისიამ აკრძალა Hikvision-ის წარმოებული სათვალთვალო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების იმპორტი. მიზეზი – უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები

უკრაინის კორუფციის პრევენციის ეროვნულმა სააგენტომ Hikvision "ომის საერთაშორისო სპონსორების" სიაში **შეიყვანა**. მიზეზი – რუსეთის ფედერაციაში კომპანიის აქტიური საქმიანობა.

ავსტრალიის თავდაცვის დეპარტამენტმა სახელმწიფო უწყების შენობებიდან Hikvision-ის სათვალთვალო კამერების მოხსნის გადაწყვეტილება მიიღო. მიზეზი – უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები.

2023 წლის დეკემბერში, კანადის მთავრობამ **გადაწყვიტა** Hikvision-ის მიერ წარმოებული ტექნოლოგიის გამოყენების აკრძალვა. გადაწყვეტილების მიზეზად დასახელდა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები.

დიდი ბრიტანეთის მთავრობამ მიიღო **გადაწყვეტილება**, რომ 2025 წლის აპრილამდე, მომხდარიყო Hikvision-ის მიერ წარმოებული კამერების დემონტაჟი იმ შენობებში, რომლებიც კრიტიკულ სახელმწიფო უწყებებს ეკუთვნის. აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზად დასახელდა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, კერძოდ, ჩინეთის სახელმწიფოსთან დაკავშირებული აქტორების ჯაშუშური აქტივობები.

ინდოეთის მთავრობამ 17 ჩინურ კომპანიას, მათ შორის Hikvision-ს, **აუკრძალა** ტენდერებში მონაწილეობა და დამატებით, სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობითი ურთიერთობების მქონე კერძო კომპანიებს მისცა მითითება, აღნიშნული ჩინური კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის გამოიყენების აკრძალვის შესახებ.

ჩინური სათვალთვალო კამერების შესყიდვა სახელმწიფო უწყებების მიხედვით

ცხრილი №1

შემსყიდველი	დახარჯული თანხა
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	1,709,212
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	1,466,841
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები	
რეგიონები	693,328
თბილისი	436,187
საგანმანათლებლო დაწესებულებები	318,608
შპს-ები	294,179
სამინისტროები და მათი ქვეუწყებები	252,390
სამედიცინო დაწესებულებები	203,149
ჯამში	**5,373,894**

როგორც **ცხრილ №1**-შია ნაჩვენები, 2019-2024 წლებში ჩინური სათვალთვალო ტექნოლოგიების შესაძენად 5 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. დროის აღნიშნულ მონაკვეთში ჩინური წარმოების სამეთვალყურეო კამერების **ყველაზე მსხვილი შემსყიდველი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია იყო.** საყურადღებოა, რომ კომისიამ 2024 წელს, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე, შეიძინა 1 694 368 ლარის ღირებულების სამეთვალყურეო კამერები, რომლებიც Xiamen Milesight Technology Co., Ltd-ის მიერაა წარმოებული.

რეგიონულ დონეზე, **ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ 2019-2024 წლებში უფრო მეტი შესყიდვებია განხორციელებული, ვიდრე უშუალოდ ცენტრალური ხელისუფლების (სამინისტროების) მიერ.** შემსყიდველთა შორის არიან შუახევის მუნიციპალიტეტი, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი და ქალაქ ქუთაისის მერია. შესყიდვების მნიშვნელოვანი ნაწილი 2024 წელს განხორციელდა, კერძოდ,

- 2024 წელს ზესტაფონის მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 281 370 ლარის ღირებულების Xiamen Milesight IoT Co., Ltd-ის მიერ წარმოებული 83 ზოგადი ხედვის კამერა.
- 2024 წელს შუახევის მუნიციპალიტეტმა შეიძინა 59 000 ღირებულების 7 ჩამწერი მოწყობილობა, რომელიც ჩინური კომპანიის, Hikvision-ის მიერ იყო წარმოებული.
- 2024 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიძინა Dahua-ს მიერ წარმოებული 8 გარე გამოყენების ქსელური კამერა.

ქ. თბილისის ფარგლებში, 2019, 2020 და 2024 წლებში შესყიდვები აქვთ განხორციელებული განხორციელებული ქ. თბილისის საკრებულოს აპარატს, სამგორის რაიონის გამგეობას, დიდუბის რაიონის გამგეობასა და უშუალოდ მერიას. კერძოდ,

- 2019 წელს თბილისის მერიამ 159 800 ლარის ოდენობის შესყიდვა განახორციელა და შეიძინა Hikvision-ის მიერ წარმოებული კამერები.
- ამავე წელს, 20 762 ლარის ღირებულების კამერები შეიძინა ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობამ.
- 2024 წელს, დედაქალაქის ფარგლებში, ბოლო მსგავსი ხასიათის შესყიდვა განხორციელდა ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის მხრიდან და შეძენილ იქნა Xiamen Milesight IoT Co., Ltd-ის მიერ წარმოებული 25 150 ლარის ღირებულების სამეთვალყურეო კამერები.

თბილისის მერიის და ადგილობრივი გამგეობების შემდგომ, ჩინური სამეთვალყურეო კამერების მსხვილი შემსყიდველები არიან **საგანმანათლებლო დაწესებულებები**, კერძოდ: ქ. ჯვარის პროფესიული სწავლების ცენტრი „ლაკადა“, სსიპ ბათუმის №10 საჯარო სკოლა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი, კოლეჯი ფაზისი, ქ. ბათუმის №3 საჯარო სკოლა, სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი. ხსენებულ საგანმანათლებლო დაწესებულებების შორის კი, აღსანიშნავია სსიპ **ქ. ჯვარის პროფესიული სწავლების ცენტრი „ლაკადა“**, რომელმაც 2024 წელს 75 611 ლარის ღირებულების კამერები და საჭირო აღჭურვილობა შეისყიდა. **აღნიშნული შემთხვევა ბოლო 5 წლის განმავლობაში სასწავლო ინსტიტუტების მიერ განხორციელებულ შესყიდვებს შორის უმსხვილესია.**

რაც შეეხება ქართულ კომპანიებს, ჩინური სამეთვალყურეო კამერების შესყიდვის მხრივ წამყვანია შპს გარდაბნის თბოსადგური 2[1], რომელმაც 2022 წელს 180 588 ლარის ღირებულების სამეთვალყურეო კამერები შეიძინა. მის გარდა, აღსანიშნავია, რომ მსგავსი სახის შესყიდვები განხორციელებული აქვთ ისეთ კომპანიებს, როგორებიცაა შპს ეკოსერვის ჯგუფი[2], შპს „ბათუმის წყალი“[3], შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია[4].

[1] კომპანიის 100 %-იანი მესაკუთრეა სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია, რომელიც, თავის მხრივ, 100 %-იან სახელმწიფო საკუთრებაშია.

[2] კომპანიის 100 %-იანი მესაკუთრეა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი.

[3] კომპანიის 100 %-იანი მესაკუთრეა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი.

[4] კომპანიის 100 %-იანი მესაკუთრეა სახელმწიფო.



ცხრილი №2

შემსყიდველი	ღირებულება
სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი	182,381
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	22,220
დაცული ტერიტორიების სააგენტო	17,113
სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური	13,274
ღვინის ეროვნული სააგენტო	8,596
თავდაცვის სამინისტრო	1,316
ჯამში	**244,900**

სამინისტროებსა და მათ ქვეუწყებებს შორის ჩინური სათვალთვალო ტექნოლოგიების ყველაზე მსხვილი შემსყიდველია **საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი**, რომელსაც 2021, 2022 და 2023 წლებში აქვს განხორციელებული შესაბამისი შესყიდვები. დეპარტამენტის მიერ შეძენილი კამერები ძირითადად Tiandy Technologies Co., Ltd და Hikvision-ის მიერაა წარმოებული. ჩინეთის სათვალთვალო კამერებთან დაკავშირებული საერთაშორისო სკანდალებისა და შემთხვევების გათვალისწინებით, **განსაკუთრებით შემაშფოთებელია ისეთი კრიტიკული სახელმწიფო უწყებების მხრიდან განხორციელებული შესყიდვები, როგორებიცაა საქართველოს პროკურატურა და თავდაცვის სამინისტრო.**

2024 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ შეიძინა Hikvision-ის ჩამწერები. აღსანიშნავია, რომ ეს არ არის თავდაცვის სამინისტროს მხრიდან სათვალთვალო კამერების შეძენის ერთადერთი შემთხვევა. 2019-2024 წლებში სამინისტრომ, ვიდეო-ტექნოლოგიების შესაძენად, ორჯერ გამოაცხადა ელექტრონული პროცედურა. თუმცა, ორივე შემთხვევაში ხელშეკრულებები საიდუმლო გრიფით დაიდო, რაც აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ სამინისტრომ ისევ ჩინური პროდუქცია შეიძინა. კერძოდ,

- 2019 წელს თავდაცვის სამინისტრომ დაახლოებით 624 000 ლარის ღირებულების ვიდეოაპარატურის შესაძენად დაიწყო პროცედურები. საწყის ეტაპზე ინტერესი ოთხმა ქართულმა კომპანიამ გამოხატა, რომელთაგანაც ბოლო რაუნდზე მხოლოდ ორის, შპს დელტა კონსალტინგისა (397 000 ლარი) და შპს სოლასის (396 900 ლარი) შეთავაზებები განიხილებოდა.

- 2024 წელს სამინისტრომ დაახლოებით 5289 ლარის ღირებულების ვიდეოკამერების შესაძენად გამოაცხადა ელექტრონული პროცედურა, რომელშიც ინტერესი შპს ელ + -მა და ნეოტექმა გამოხატეს. საბოლოოდ, სამინისტრომ მიიღო ნეოტექის შეთავაზება (5100 ლარი).



აღსანიშნავია, რომ კომპანია ნეოტექი ქართულ ბაზარზე ჩინური სათვალთვალო კამერების მნიშვნელოვანი მიმწოდებელია. ამდენად, 2019-2024 წლებში აღნიშნული ტექნოლოგიის შესაძენად განხორციელებული 46 შესყიდვიდან 13 შემთხვევაში გამარჯვებული კომპანია ნეოტექია. შესაბამისად, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ 2024 წელს სამინისტრომ ნეოტექისგან ჩინური წარმოების კამერები შეისყიდა.

რა რისკებთანაა დაკავშირებული ჩინური წარმოების სათვალთვალო ტექნოლოგიები?

საქართველოში ჩინური კომპანიების მიერ წარმოებული სათვალთვალო კამერების იმპორტი საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას. ამაზე მეტყველებს ის რისკები და გამოწვევები, რომლებიც ჩინურ სამეთვალყურეო ტექნოლოგიებთან არის ასოცირებული. კერძოდ;

ჩინეთის სახელმწიფო უწყებებისთვის ინფორმაციის გადაცემის ვალდებულება

> **“ყველა ორგანიზაციამ და მოქალაქემ კანონის შესაბამისად მხარი უნდა დაუჭიროს, დაეხმაროს და ითანამშრომლოს ეროვნულ სადაზვერვო საქმიანობასთან და დაიცვას ეროვნული სადაზვერვო საქმიანობის ის საიდუმლოებები, რომელთა შესახებაც მას აქვთ ინფორმაცია.”**
>
> *Article 7, National Intelligence Law*
> *(After the amendments of April 17, 2018)*

მეორე მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც ჩინურ ტექნოლოგიურ კომპანიებთან ასოცირდება, არის **მომხმარებელთა მონაცემების დაუცველობასთან დაკავშირებული რისკები**. ჩინეთის სახელმწიფო რეგულაციების თანახმად, ყველა კომპანია ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში, მონაცემები გაუზიაროს შესაბამის სახელმწიფო უწყებას. ამ თვალსაზრისით, საერთაშორისო საზოგადოება განსაკუთრებით **სარისკოდ თვლის** ჩინეთის ეროვნული დაზვერვის კანონს, რომლის **მე-7 მუხლიც ეროვნული დაზვერვის სამსახურთან თანამშრომლობის ვალდებულებას აკისრებს ყველა ორგანიზაციას თუ მოქალაქეს.**

1. ეროვნული დაზვერვის კანონი გლობალურად მიემართება ყველა ჩინურ ჯგუფს, შვილობილი კომპანიების და ჩინეთის საზღვრებს მიღმა არსებული გაერთიანებების ჩათვლით.



რამდენადაც ჩინური დედობილი კომპანია ექვემდებარება აღნიშნულ კანონს, კანონი შეიძლება გასცდეს ჩინეთის იურისდიქციას და მოიცვას კომპანიის შვილობილი კომპანიები.

2. ეროვნული დაზვერვის კანონი მიემართება ჩინეთში არსებულ ყველა ორგანიზაციას და მფლობელთა ვინაობის მიუხედავად, მოიცავს ქვეყანაში დაარსებულ ნებისმიერი ტიპის კომპანიას, განურჩევლად იმისა, ამ ორგანიზაციების წილებს, საჯარო თუ კერძო საკუთრების სახით, ჩინეთის მოქალაქეები ფლობენ თუ უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

3. ეროვნული დაზვერვის კანონი მიემართება ჩინეთის ყველა მოქალაქეს და რამდენადაც კანონი არ ითვალისწინებს გეოგრაფიულ შეზღუდვებს, იგი ჩინეთის საზღვრებს მიღმა მცხოვრებ მოქალაქეებზეც შეიძლება ვრცელდებოდეს.

საერთაშორისო დონეზე გახმაურებული არაერთი შემთხვევა მოწმობს, რომ ხსენებული მე-7 მუხლი არ რჩება მხოლოდ ფორმალურ ვალდებულებად და ჩინური ტექნოლოგიური კომპანიები რეალურად თანამშრომლობენ სახელმწიფო უწყებებთან. მაგალითად, 2023 წელს "რადიო თავისუფლება - ევროპის" მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ უკრაინაში დაყენებული ათასობით ჩინური სათვალთვალო კამერიდან ინფორმაცია შეიძლება **გადაგზავნილიყო** რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურთან დაკავშირებულ სერვერებზე.

„სპეციალისტები დარწმუნებული არიან, რომ ამ სერვისის გამოყენებისას მწარმოებლის წარმომადგენლებს, საჭიროების შემთხვევაში, მარტივად შეუძლიათ მოიპოვონ წვდომა კამერებზე. გარდა ამისა, ჩინეთსა და რუსეთს შორის არსებული ურთიერთობების გათვალისწინებით, ეს შესაძლოა გარკვეულ უსაფრთხოების რისკებს შეიცავდეს" - **განაცხადა** "კომპიუტერული კრიმინალისტიკის ლაბორატორიის" აღმასრულებელმა დირექტორმა, სერგეი დენისენკომ.

შესაბამისად, სახელმწიფო უწყებების შენობებში ჩინური სამეთვალყურეო კამერების დაყენება წარმოშობს საფუძვლიან ეჭვებს, რომ ჩინეთის მთავრობას ამ ტექნოლოგიების მეშვეობით შესაძლოა წვდომა ჰქონდეს კრიტიკულ სახელმწიფო ინფორმაციასა და მონაცემებზე, შესაბამისად, უკრაინის გამოცდილების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში ხელმისაწვდომი გახდეს რუსეთის ფედერალური სამსახურებისთვის.

კიბერ-თავდასხმის რისკები

საერთაშორისო გამოცდილება მოწმობს, რომ ჩინური ტექ. კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქცია მოიცავს კიბერ-უსაფრთხოების რისკებს.

არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ ჩინური სათვალთვალო ტექნოლოგიების სისტემები შეიცავს ისეთ მოწყვლად ელემენტებს, რომლებიც კიბერ-თავდასხმის საშუალებას იძლევა.

სწორედ კიბერ-უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკებია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რის გამოც, ჩინურ სათვალთვალო ტექნოლოგიას ეროვნული უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველად აფასებენ. მაგალითად, 2024 წელს დიდმა ბრიტანეთმა **მიიღო გადაწყვეტილება**, რომ კრიტიკული სახელმწიფო უწყებების შენობებში განთავსებული ჩინური სამეთვალყურეო კამერების დემონტაჟი მომხდარიყო.

კავშირები ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან

ჩინეთში დაფუძნებულ ან მოქმედ ტექნოლოგიურ კომპანიებს მჭიდრო კავშირები აქვთ ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან. ამ შემთხვევაში, პარტიის გავლენისგან არც ის კომპანიები არიან დაზღვეულნი, რომელიც კერძო პირების საკუთრებაში არიან. აღნიშნული კომპანიებიც სარგებლობენ სახელმწიფო სუბსიდიებითა და შეღავათებით, ამიტომ, სახელმწიფო მხარდაჭერის შესანარჩუნებლად, ისინი ხშირად სახალხო რესპუბლიკის სტრატეგიული მიზნების შესაბამისად მოქმედებენ.

გარდა ამისა, ჩინეთის წამყვანი ტექნოლოგიური კომპანიების წილებს ფლობს ან უშუალოდ სახელმწიფო ან სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირების მქონე პირი. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ქართულ ბაზარზე არსებული სამეთვალყურეო კამერების მნიშვნელოვანი ნაწილის მწარმოებელი, Hikvision. 2024 წლის დეკემბრის მონაცემებით, კომპანიაში უდიდეს წილს, 36.55 %-ს **ფლობს** სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩინური კომპანია, China Electronics Technology HIK Group Co., Ltd.

ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული გამოწვევები

როგორც უკვე აღინიშნა, ჩინური ტექ. კომპანიები კომუნისტური პარტიის მხარდაჭერის შესანარჩუნებლად საკუთარ ტექნოლოგიებს სახე-ლმწიფოს სტრატეგიული მიზნების შესაბამისად ავითარებენ. შესაბამისად, არაა გასაკვირვი, რომ ისეთი წამყვანი ტექნოლოგიური კომპანიები, როგორებიცაა Hikvision და Dahua, უმცირესობებთან მიმართებით სახელ-მწიფოს რეპრესიული პოლიტიკის მთავარი ხელშემწყობები არიან.

Human Rights Watch-ის 2019 წლის **ანგარიშის** მიხედვით, ჩინეთის მთავრობა სახის ამომცნობი ტექნოლოგიისა და სათვალთვალო კამერების გამოყენებით, ექსკლუზიურად აფიქსირებს უიღურებს და აღრიცხავს მათ გადაადგილებას.

ჩინური სათვალთვალო ტექნოლოგიები სწორედ ანალოგიური რეპრესიული მიზნებისთვის შეიძლება გამოიყენონ ავტორიტარულმა რეჟიმებმა. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია **უგანდისა** და **ზამბიას** შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო უწყებებმა ჩინური ტექნოლოგიური კომპანიის დახმარებით წვდომა მოიპოვა ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლების მონაცემებზე.

- The Wall Street Journal-ის მიხედვით, უგანდის სადაზვერვო სამსახუ-რის წარმომადგენლებმა, ჰუავეის თანამშრომლების დახმარებით, დაჰაკეს ოპოზიციონერი ლიდერის, ბობი ვაინის Whatsapp-ისა და Skype-ის ანგარიშები. შედეგად, ხელისუფლებამ გამოავლინა ბობის გეგმები დემონსტრაციების შესახებ და დააპატიმრა როგორც თავად პოლიტიკოსი, ისე მისი ათობით მხარდამჭერი.

- ზამბიაში კი, ჰუავეის სპეციალისტების დახმარებით, მთავრობამ **წვდომა მოიპოვა** ოპოზიციური საინფორმაციო ვებ-გვერდის მმართველი ბლოგერების ფეისბუქ-ანგარიშებსა და ტელეფონებზე.

შესაბამისად, ჩინური ტექნოლოგიების იმპორტი მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა თავისუფლების უფლებებს და წარმოშობს პეკინისთვის დამახასიათე-ბელი პოლიციური კონტროლის პრაქტიკის "გადმონერგვის" საშიშროებას.